ოქმი:**ო63. 63232192**
თარიღი:**07/08/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N6

ქ.სამტრედია 31 ივლისი, 2023 წელი.

მიმდინარე წლის 31 ივლისს ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა და ინფრასტრქუტურის საკითხთა გაერთიანებული კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი მელაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: ირაკლი მელაშვილი, ტარიელ ცომაია, გოჩა არველაძე, აკაკი მინაშვილი, ბადრი შენგელია, გიორგი ლეჟავა, გრიგოლ ჩიგოგიძე, ლელა ჩორგოლაშვილი, მარიამ ბარბაქაძე, ტარიელ დვალიშვილი, ჯონი თევზაძე, დავით ჯანელიძე, გივი ჯულაყიძე, ვალერიანე ფოცხვერია, ვაჟა სტურუა, ზაზა ადეიშვილი, მანანა სირბილაძე, პაატა კოხრეიძე, ჯონი ახობაძე.

მოწვეული სტუმრები:

1. მერის წარმომადგენელი სოფელ ბაშის ადმინისტრაციულ ერთეულში - ქალთამზე ჩხეიძე.

2. მერის წარმომადგენელი სოფელ გამოჩინებულის ადმინისტრაციულ ერთეულში - მარინა ქორიძე.

3. მერის წარმომადგენელი სოფელ ეწრის ადმინისტრაციულ ერთეულში - გრიგოლ დარჯანია.

4. მერის წარმომადგენელი სოფელ საჯავახოს ადმინისტრაციულ ერთეულში - თენგიზ ქორიძე.

5. მერის წარმომადგენელი სოფელ ოფეთის ადმინისტრაციულ ერთეულში - მერაბ თევზაძე.

6. მერის წარმომადგენელი სოფელ ტოლების ადმინისტრაციულ ერთეულში - გივი

სიხარულიძე.

7. მერის წარმომადგენელი სოფელ ღანირის ადმინისტრაციულ ერთეულში - მერაბ არველაძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტში (დაუმისამართებელი სოფლები) ქუჩების სახელდებაზე ინიციატივის წარდგენასთან დაკავშირებით.

/მომხსენებელი: ირაკლი მელაშვილი/

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის N21 ქუჩისათვის ირაკლი ანდრიაძის სახელის მინიჭების შესახებ.

/მომხსენებელი: ირაკლი მელაშვილი/

3. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, გაერთიანებული კომისიის წევრებმა (19) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, გაერთიანებული კომისიის წევრთა (19) ხმით, დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს # 25422 წერილობითი მომართვა, სადაც ითხოვენ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში სახელწოდების არმქონე ქუჩების სახელდება განხორციელდეს არაბული ციფრების გამოყენებით.

წერილობით მომართვას თან ახლავს, დანართის სახით, არაბული ციფრების გამოყენებით გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) შემოთავაზებული სახელწოდებების ტექსტური ფაილი და სოფლების მიხედვით გეოგრაფიული მონაცემების ამსახველი სიტუაციური რუკები (იხ. დანართი № 2.1 - 2.26 *.pdf ფორმატში და დანართი № 3 *.mdb ფორმატში). სოფლების განაშენიანებული ტერიტორიებისთვის ქუჩათა ქსელის პროექტი შექმნილია ორთოფოტოზე დიგიტალიზაციის მეთოდით და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მუნიციპალიტეტისათვის 2022 წლის 13 მაისის № 79609 და 3 ივნისის № 92078 წერილით მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

ტარიელ ცომაია - ჩვენ უნდა ვუზრუნველყოთ ქუჩების არაბული ციფრებით სახელდებისთვის შესაბამისი სამართლებრივი აქტის/ აქტების გამოცემა და სააგენტოსთვის მოწოდება. სახელდებისთანავე სააგენტო სამისამართო ობიექტებს (შენობა-ნაგებობა/მიწის ნაკვეთი) მიანიჭებს ნუმერაციას და განუსაზღვრავს ინდივიდუალურ მისამართებს. ახლადშექმნილი მისამართები აღირიცხება, როგორც სამისამართო, ასევე, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრებში; მისამართებზე ინფორმაცია მარტივად ხელმისაწვდომი იქნება სააგენტოს ინტერაქტიული რუკის მეშვეობით.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტს არაბული ციფრების გამოყენებით სახელდებული ქუჩების სახელების შეცვლა და მათთვის სახელმწიფო, საზოგადო მოღვაწე პირებთან ან ისტორიულ ტოპონიმებთან დაკავშირებული სახელწოდებების განსაზღვრისთვის შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების დაწყება, გეოგრაფიული მონაცემების დამუშავების საჭიროების გარეშე, უფრო გამარტივებული წესით შეეძლება.

ასევე მოგვმართავენ თხოვნით,რომ ქუჩების არაბული ციფრებით

სახელდებამდე, მოხდეს აღნიშნული ინფორმაციის სისწორის გადამოწმება, კერძოდ - შესაბამის სოფელში არსებულ რომელიმე ქუჩას უკვე განსაზღვრული ხომ არ აქვს სახელწოდება. ასეთი ფაქტის დადგენის შემთხვევაში, არაბული ციფრებით სახელდება არ განხორციელდება.

ირაკლი მელაშვილი - კომისიის სხდომაზე იმყოფებიან მერის წარმომადგენელები, რომლებმაც აღნიშნულთან დაკავშირებით გაიარეს ინფრასტრუქტურის სამსახურთან კონსულტაცია (დაუმისამართებელ დასახლებებში ქუჩების არაბული ციფრებით სახელდების ინიციატივა) და ეთანხმებიან წარმოდგენილ მონაცემებში არსებულ დამისამართებულ ნუმერაციას.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

დაადგინეს: კომისიის წევრები კენჭისყრის შედეგად, (19) ხმით, ეთანხმება,რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე. (ოქმს თან დაერთვის დანართი 9 ფურცლად)

<u>დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით</u> მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიცალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მცხოვრები მოქალაქეების საინიციატივო ჯგუფის განცხადება. მათი თხოვნაა დიდ ჯიხაიშში არსებულ ქუჩას, რომელიც ამჟამად N21 ქუჩის სახელით არის წოდებული, მიენიჭოს დიდი ჯიხაიშის მკვიდრის, ღირსეული თანასოფლელისა და მამულიშვილის, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის ირაკლი ონისიმეს ძე ანდრიაძის სახელი.

ირაკლი მელაშვილი - მოგახსენებთ ბატონი ირაკლის ბიოგრაფიას და მისი ხელმძღვანელობით განხორციელებულ აქტივობებს.

ირაკლი ანდრიაძე გახლდათ ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოქტორი. საქართველოს და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების წევრ-კორესპოდენტი. სამი სახელმძღვანელოსა და 35 სამცნიერო ნაშრომის ავტორი.

<u>1953</u> წელს დაამთავრა <u>საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის</u> სამშენებლო ფაკულტეტი და იმავე წელს დაინიშნა <u>თიანეთის</u> რაისაბჭოს აღმასკომის მშენებლობის განყოფილების გამგედ.

1953-1967 წლებში მუშაობდა <u>რუსთავსა</u> და <u>ჭიათურაში</u> — <u>საქართველოს მშენებლობის სამინისტროს</u> სამშენებლო ტრესტ „ამიერკავკასმეტალურგმშენის“ სისტემაში, სამშენებლო გაერთიანება „მთავართბილმშენის“ რკინაბეტონის ქარხანაში, საქართველოს მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „საქმშენინდუსტრიის“ მთავარ ინჟინრად.

1967-1968 წლებში იყო <u>საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის</u> ინდუსტრიული და კომუნალური განყოფილების გამგე.

1968-1972 წლებში იყო საქართველოს მშნებლობის სამინისტროს ტრესტ „მშენინდუსტრიის“ მთავარი ინჟინერი.

1972-1974 წლებში იყო <u>თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის</u> პრორექტორი უნივერსიტეტის პერსპექტიული განვითარების დარგში. 1974 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „საქართველოს ბუნებრივ ფენოვან შემავსებლებზე ელექტრო გახურებით დამზადებული მსუბუქი ბეტონების გამოკვლევა და დანერგვა“, შემდეგ — სადოქტორო დისერტაცია. მისი პრორექტორობის პერიოდში მიმდინარეობდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი კომპლექსის მშენებლობა (მაღლივი კორპუსი, ბიბლიოთეკის კორპუსი და ცენტრალური ბიბლიოთეკა წიგნთსაცავებით), მისი ხელმძღვანელობა და კურატორობაც დაევალა.

1971-1985 წლებში კითხულობდა ლექციებს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. გამოქვეყნებულ აქვს სამეცნიერო შრომები და სამი სახელმძღვანელო სამშენებლო-საინჟინრო სპეციალობის სტუდენტებისათვის.

1974-1976 წლებში მუშაობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილედ და პირველ მოადგილედ, სამეურნეო სამმართველოს უფროსად. 1980-1985 წლებში იყო საქართველოს მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს უფროსი. 1985-1987 წლებში იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველი: 1987-1991 წლებში იყო თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

1991 წლიდან თბილისის პირველი პრეფექტი და პირველი მერი. 1992-2003 წლებში იყო სახელმწიფო საბჭოს საქმეთა მმართველი და სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. 1992-1996 წლებში იყო საზღვარგარეთ ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე და პრეზიდიუმის წევრი. 1994 წელს ხელმძღვანელობდა თბილისში ზურაბ წერეთლის „წმინდა ნინოს“ მონუმენტის აღმართვას. საქართველოს პატრიარქის, ილია II დავალებით ხელმძღვანელობდა წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობას. საინჟინრო საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის საინჟინრო აკადემიის გადაწყვეტილებით მიღებული აქვს „XX საუკუნის გამოჩენილი ინჟინრის“ წოდება (2000), მედალი „თბილისის ერთგულება“, საქართველოს პრეზიდენტის სიგელი „ერის გამორჩეული მოღვაწე“ (2002).

გარდა ამ ჩამონათვალისა, ბატონი ირაკლი ანდრიაძის ხელმძღვანელობით განხორციელებულია ბევრი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ღონისძიება, რომელიც თან დაერთვება ოქმს დანართის სახით, დიდი ჯიხაიშის მცხოვრებთა ხელმოწერებთან ერთად.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს.

ირაკლი მელაშვილი - როგორც მოგეხსენებათ, ირაკლი ანდრიაძის გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი, ამიტომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" № 239 დადგენილების მე-5 მუხლის „1“ - პუნქტის თანახმად, ამ წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

დაადგინეს: კომისიის წევრები კენჭისყრის შედეგად, (11) ხმით, ეთანხმება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე. (ოქმს თან დაერთვის დანართი 7 ფურცლად)

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

ირაკლი მელაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საკითხთა კომისია-განათლების,
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი